ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდჭერის სამართლებრივი პრობლემები

მარიამ ფხალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ფხალაძე

18.01.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სამართლებრივი პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრის გზების მოძიებას. ნაშრომის მიზანია, ოჯახში ძალადობის და ძალადობის მსხვერპლის როგორც სამართლებრივი, ისე ვიქტიმოლოგიური არსის გააზრება, ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გამოკვეთა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარაქტიკაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა და ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვისათვის მექანიზმების შემუშავება.

ხსნებულ ნაშრომში დასახელებულია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა საოგადოებაში არსებული სტიგმატიზებული მიდგომები ქალისა და მამაკაცის დაქვემდებარებული როლებისა და მათი უფლებების მიმართ, რაც მავნე ტრადიციებით, რელიგიური შეხედულებებითა თუ საზოგადოების ნაწილის სტერეოტიპული მიდგომებითაა განპირობებული. განხილულია ალკოჰოლისადმი და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების უარყოფით გავლენები, როგორც ოჯახში ძალადობის პროვოცირების ხელშემწყობი ფაქტორი, ასევე საუბარია საზოგადოების არასაკმარის ცნობიერებასა და გულგრილობაზე, მსხვერპლის ძალადობის პირისპირ მარტო დატოვებაზე და სხვა პრობლემებზე, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად და მსხვერპლთა დაცვისათვის შემაფერხებელ წინაპირობებს.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ოჯახში ძალადობის და მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისას არსებული გამოწვევები და გამოკვეთოს მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომში დასახელებული საკითხების შესწავლისათვის გამოყენებულია სისტემური, შედარებით-სამართლებრივი და შეფასების მეთოდები. იმისათვის, რომ პასუხი გასცემოდა ზემოთ ხსენებულ საკითხებს შესწავლილი იქნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე გაანალიზებული იქნა შესაბამისი კანონმდებლობა.

კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ მართალია ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად და მსხვერპლთა დაცვისათვის მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება, თუმცა მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნული საკითხი დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ოჯახში ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხები დარეგულირებულია კანონმდებლობით, თუმცა მსავსი რეგულირება უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და არც თუ ისე ეფექტურია.

ამდენად, კვლევამ გვიჩვენა, რომ ოჯახში ძაადობის აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისთვის, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართულობის გაზრდა.

ნაშრომში გამოტანილი დასკვნები ემყარება საფუძვლიან კვლევას და მიღებული შედეგები და რეკომენდაციები დაეხმარება ოჯახში ძალადობის საკითხით დაინტერესებულ პირებს.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

Abstract

This work is dedicated to defining the legal problems of eliminating domestic violence, protecting and supporting victims of violence and finding solutions. The aim of the paper is to understand both the legal and victimological essence of domestic violence and victims of violence, to outline the causes and factors of violence, to answer practical questions regarding the given issue, and to develop mechanisms for preventing violence and protecting victims.

In the published work, such problematic issues as the stigmatized attitudes in the society towards the subordinate roles of men and women and their rights, which are caused by harmful traditions, religious views or stereotypical approaches of a part of the society, are named. Indifference of the society, leaving the victim alone in the face of violence and other problems that are prerequisites for preventing domestic violence and protecting victims.

Accordingly, the aim of the paper is to present the challenges in the protection and support of domestic violence and victims and to outline ways to solve them.

Systematic, comparative-legal and evaluation methods are used to study the issues named in the paper. In order to answer the above-mentioned issues, the scientific literature related to the given issue was studied, as well as the relevant legislation was analyzed.

As a result of the research, it became clear that although a number of measures are being taken to eliminate domestic violence and to protect the victims, however, this issue remains an unsolved problem worldwide. The issues of domestic violence and victim protection are regulated by legislation, although the overall regulation is more formal and not very effective.

Thus, research has shown that in order to eliminate domestic violence and protect and support victims of violence, it is important to raise public awareness and increase their involvement.

The conclusions drawn in the paper are based on thorough research, and the results and recommendations will help those interested in the issue of domestic violence.

Key words: domestic violence, victims of domestic violence.

მადლობა

ოჯახში ძალადობა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ნეგატიურად აისახება ყოველი ადამიანის ცხოვრებაზე, ამიტომ მისი პრობლემის გადაწყვეტა პრიორიტეტული მნიშვნელობისაა. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს რჩევებისა და გაწეული დახმარებისთვის აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში.